

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №12

2022 წლის 24 ივნისი

ქ. საგარეჯო

„საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №17 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge 27/12/2021, სარეგისტრაციო კოდი: 190020020.35.165.016421).

1. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №17 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის I თავის 1-11 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

»

დანართი

თავი I. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

მუხლი 1. ბიუჯეტის ბალანსი

ბიუჯეტის ბალანსი განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა		
	სულ	სულ	სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
I. შემოსავლები	23138.4	27983.3	30915.6	19753.7	11161.9
გადასახადები	11909.4	16012.0	17799.7	17799.7	0.0
გრანტები	9810.7	9613.4	11406.9	245.0	11161.9
სხვა შემოსავლები	1418.3	2357.9	1709.0	1709.0	0.0
II. ხარჯები	10542.7	13377.4	20534.8	17852.2	2682.7
შრომის ანაზღაურება	2056.0	2194.1	3582.8	3582.8	0.0
საქონელი და მომსახურება	2735.7	3454.5	4031.6	3894.8	136.8
პროცენტი	34.4	27.5	33.8	33.8	0.0



სუბსიდიები	4469.4	5408.6	7168.4	7168.4	0.0
გრანტები	53.9	85.1	171.4	171.4	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	816.4	773.1	1387.8	1387.8	0.0
სხვა ხარჯები	376.8	1434.3	4159.0	1613.1	2545.9
III. საოპერაციო საღი	12595.7	14605.9	10380.7	1901.5	8479.2
IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება	5047.5	7622.6	28166.4	17201.1	10965.3
ზრდა	10402.7	15002.8	36266.4	25301.1	10965.3
კლება	5355.3	7380.1	8100.0	8100.0	0.0
V. მთლიანი საღი	7548.3	6983.3	-17785.7	-15299.6	-2486.1
VI. ფინანსური აქტივების ცვლილება	7487.6	6930.0	-17839.7	-15353.6	-2486.1
ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	0.0	0.0		
კლება	-7487.6	-6930.0	17839.7	15353.6	2486.1
ვალუტა და დეპოზიტები	-7487.6	-6930.0	17839.7	15353.6	2486.1
VII. ვალდებულებების ცვლილება	-60.7	-53.3	-54.0	-54.0	0.0
კლება	60.7	53.3	54.0	54.0	0.0
საშინაო	60.7	53.3	54.0	54.0	0.0
სესხები	-60.7	-53.3	-54.0	-54.0	0.0
VIII. ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 2. ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა		
	სულ	სულ	სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსულობები	28493.7	35363.4	39015.6	27853.7	11161.9
შემოსავლები	23138.4	27983.3	30915.6	19753.7	11161.9
არაფინანსური აქტივების კლება	5355.3	7380.1	8100.0	8100.0	0.0
ფინანსური აქტივების კლება	-26.5	3982.7	3.1	3.1	0.0



(ნაშთის გამოკლებით)					
ვალდებულებების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
გადასახდელები	21006.1	28433.4	56855.3	43207.3	13648.0
ხარჯები	10542.7	13377.4	20534.8	17852.2	2682.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	10402.7	15002.8	36266.4	25301.1	10965.3
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	3425.2	10912.7	17842.8	15356.7	2486.1
ვალდებულებების კლება	60.7	53.3	54.0	54.0	0.0
ნაშთის ცვლილება	7487.6	6930.0	-17839.7	-15353.6	-2486.1

მუხლი 3. ბიუჯეტის შემოსავლები

ბიუჯეტის შემოსავლები განისაზღვროს 30915,6 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა		
	სულ	სულ	სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
შემოსავლები	23138.4	27983.3	30915.6	19753.7	11161.9
გადასახადები	11909.4	16012.0	17799.7	17799.7	0.0
გრანტები	9810.7	9613.4	11406.9	245.0	11161.9
სხვა შემოსავლები	1418.3	2357.9	1709.0	1709.0	0.0

მუხლი 4. ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები

ბიუჯეტის გადასახადები განისაზღვროს 17799.7 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
	სულ	სულ	სულ
გადასახადები	11909.4	16012.0	17799.7
დამატებითი ღირებულების გადასახადი	8745.7	11793.8	14299.7
ქონების გადასახადი	3163.7	4218.2	3500.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1099.5	1769.2	1706.7



უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	-98.7	0.0	0.0
ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	21.6	36.6	10.0
სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	1681.8	1872.7	1503.3
არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	459.5	539.7	280.0

მუხლი 5. ბიუჯეტის გრანტები

ბიუჯეტის გრანტები განისაზღვროს 11406,9 ათასი ლარით:

ათას ლარი

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
გრანტები	9810.7	9613.4	11406.9
საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მიღებული გრანტები	0.0	0.0	0.0
გრანტები სახელმწიფო ბიუჯეტიდან	9810.7	9613.4	11406.9
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	220.0	220.0	245.0
კაპიტალური ტრანსფერი	7,676.3	7011.7	7460.3
სპეციალური ტრანსფერი მათ შორის :	1414.4	2381.7	3701.5
სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე	0.0	1371.0	2297.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი	0.0	0.0	519.7
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	658.0	668.0	668.0
საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა	756.4	342.7	216.8

მუხლი 6. ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

ბიუჯეტის სხვა შემოსავლები განისაზღვროს 1709.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
სხვა შემოსავლები	1418.3	2357.9	1709.0
შემოსავლები საკუთრებიდან	797.9	1577.5	1060.0



პროცენტები	173.2	904.7	500.0
რენტა	624.7	672.8	560.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	101.2	99.6	99.0
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	87.1	93.0	87.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.4	1.6	2.0
სანებართვო მოსაკრებელი	46.7	42.2	45.0
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	40.0	49.2	40.0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	14.1	6.6	12.0
სანქციები (ჯარიმები და საურავები)	497.1	622.9	550.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	22.1	57.9	0,0

მუხლი 7. ბიუჯეტის ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით

ბიუჯეტის ხარჯები განისაზღვროს 20534.8 ათასი ლარით:

ათას ლარში

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა		
	სულ	სულ	სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
ხარჯები	10542.7	13377.4	20534.8	17852.2	2682.7
შრომის ანაზღაურება	2056.0	2194.1	3582.8	3582.8	0.0
საქონელი და მომსახურება	2735.7	3454.5	4031.6	3894.8	136.8
პროცენტები	34.4	27.5	33.8	33.8	0.0
სუბსიდიები	4469.4	5408.6	7168.4	7168.4	0.0
გრანტები	53.9	85.1	171.4	171.4	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	816.4	773.1	1387.8	1387.8	0.0
სხვა ხარჯები	376.8	1434.3	4159.0	1613.1	2545.9

მუხლი 8. ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს 28166,4 ათასი ლარით. მათ შორის, არაფინანსური აქტივების ზრდა 36266,4 ათასი ლარით, ხოლო არაფინანსური აქტივების კლება 8100.0 ათასი ლარით:

ათას ლარში

პროგ. კოდი	არაფინანსური აქტივების ზრდა პროგრამების მიხედვით	2020 წლის	2021 წლის	2022 წლის
------------	--	-----------	-----------	-----------



		ფაქტი	ფაქტი	გეგმა
01 00	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	7.8	52.3	1376.9
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის უზრუნველყოფა	7.8	52.3	1376.9
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	0.0	0.0	0.0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	8199.7	12067.4	24913.9
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	5234.1	7574.2	18653.2
02 02	წყლის სისტემების განვითარება	1988.0	3258.1	4109.6
02 03	გარე განათება	24.4	193.8	477.4
02 04	ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია	2.7	29.1	0.0
02 05	კეთილმოწყობა	112.3	135.9	195.8
02 06	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია	180.6	119.9	584.9
02 07	სარიტუალო ღონისძიებები	0.0	13.3	70.0
02 08	სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	657.5	743.0	823.1
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	120.8	98.0	1499.3
03 01	დასუფთავება და გარემოს დაცვა	0.0	0.0	0.0
03 05	მწვანე ნარგავების მოვლა-პატრონობა, განვითარება	5.0	98.0	1399.3
03 03	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	115.8	0.0	100.0
04 00	განათლება	1260.2	1291.0	3058.0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	17.2	133.4	10.0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების რეაბილიტაცია, მშენებლობა	998.1	726.4	2808.2
04 03	სკოლისგარეშე დაწესებულებების ფუნქციონირება	16.3	22.4	0.0
04 04	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და მოსწავლეთა ტრანსპორტირება	228.6	408.8	239.7
05 00	კულტურა, ახალგაზრდობა და სპორტი	402.9	1480.8	5018.3
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	371.5	1442.7	3364.8
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	31.3	38.2	1653.5
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	411.3	13.2	400.0
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	410.2	11.1	400.0
06 02	სოციალური დაცვა	1.1	2.1	0.0
	სულ არაფინანსური აქტივების ზრდა	10402.7	15002.8	36266.4



დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	5355.3	7380.1	8100.0
ძირითადი აქტივები	103.1	693.0	40.0
არაწარმოებული აქტივები	5252.1	6687.1	8060.0
მიწა	5252.1	6687.1	8060.0

მუხლი 9. ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში შემდეგი რედაქციით:

ფუნქციონალური კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
7.1	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	2,924.1	3,185.8	6,336.4
7.1.1	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	2,924.1	3,185.8	6,336.4
7.1.1.1	ადმსრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	2,829.0	3,105.0	6,121.2
7.1.1.2	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	95.1	80.8	215.2
7.1.6	ვალთან დაკავშირებული ოპერაციები	0.0	0.0	0.0
7.2	თავდაცვა	116.9	127.5	195.0
7.2.2	სამოქალაქო თავდაცვა	116.9	127.5	195.0
7.4	ეკონომიკური საქმიანობა	5,501.8	7,898.9	19,041.7
7.4.5	ტრანსპორტი	5,501.8	7,898.9	19,041.7
7.4.5.1	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	5,501.8	7,898.9	19,041.7
7.4.5.5	მილსადენები და სხვა სახის სატრანსპორტო საშუალებები	0.0	0.0	0.0
7.5	გარემოს დაცვა	1,214.0	1,531.2	3,232.8
7.5.1	ნარჩენების შეგროვება გადამუშავება და განადგურება	1,214.0	1,531.2	3,232.8
7.6	საბინაო კომუნალური მეურნეობა	4,658.1	7,619.8	12,006.8
7.6.1	ბინათმშენებლობა	190.3	1,273.9	3,662.9



7.6 2	კომუნალური მეურნეობის განვითარება	0.0	0.0	0.0
7.6 3	წყალმომარაგება	2,540.4	4,071.5	4,932.7
7.6 4	გარე განათება	895.7	1,255.5	1,712.4
7.6 6	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო კომუნალურ მეურნეობაში	1,031.8	1,018.9	1,698.8
7.7	ჯანმრთელობის დაცვა	529.5	120.2	535.6
7.7 2	ამბულატორიული მომსახურება	422.2	15.8	406.0
7.7 4	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	107.3	104.4	129.6
7.8	დასვენება, კულტურა და რელიგია	1,651.7	3,032.2	7,275.6
7.8 1	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	1,054.7	2,293.6	4,428.2
7.8 2	მომსახურება კულტურის სფეროში	546.5	664.7	2,699.3
7.8 3	ტელერადიომაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	16.9	35.0	44.1
7.8 4	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	33.6	38.9	104.0
7.9	განათლება	3,338.2	3,848.9	6,439.3
7.9 1	სკოლამდელი აღზრდა	2,832.1	3,101.8	5,904.3
7.9 2	ზოგადი განათლება	404.8	630.4	376.5
7.9 8	საბაზო ზოგადი განათლება	101.2	116.7	158.5
7 10	სოციალური დაცვა	1,071.9	1,069.0	1,792.1
7 10 1	ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა	44.6	61.6	98.0
7 10 2	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	207.5	233.6	318.5
7 10 3	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	1.800	1.800	1.800
7 10 4	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	50.4	69.2	84.8
7 10 6	საცხოვრებლით უზრუნველყოფა	27.689	26.939	38.000
7 10 7	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	552.1	527.5	901.0
7 10 9	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	187.8	148.3	350.0
	სულ	21,006.1	28,433.4	56,855.3

მუხლი 10. ბიუჯეტის საოპერაციო და მთლიანი სალდო

ბიუჯეტის მთლიანი სალდო განისაზღვროს -17785,7 ათასი ლარით, ხოლო საოპერაციო სალდო 10 380,7 ათასი ლარით:



დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
საოპერაციო სალდო	12,595.7	14,605.9	10,380.7
მთლიანი სალდო	7,548.3	6,983.3	-17,785.7

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის ფაქტი	2022 წლის გეგმა
ფინანსური აქტივების ცვლილება	7,487.6	6,930.0	- 17,839.7
ზრდა	0.0	0.0	-
ვალუტა და დეპოზიტი	0.0	0.0	-
კლება	- 7,487.6	- 6,930.0	17,839.7
ვალუტა და დეპოზიტი	- 7,487.6	- 6,930.0	17,839.7

"

2. „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის №17 დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დანართის II თავის მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

"

თავი II. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები, პროგრამები, ქვეპროგრამები

მუხლი 17. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის დაფინანსებისათვის განისაზღვროს 2327,7 ათასი ლარი. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსებული პროგრამების და ქვეპროგრამების მიზნები და მოსალოდნელი შედეგები განისაზღვროს შემდეგი რედაქციით:

პროგრამული კოდი	პრიორიტეტი, პროგრამა, ქვეპროგრამა	2022 წლის პროექტი
06 00	ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2,327.7
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	535.6
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	129.6
06 01 02	სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	406.0



06 02	სოციალური დაცვა	1,792.1
06 02 01	სოციალურად დაუცველი ოჯახების ბავშვთა დახმარების პროგრამა	197.8
06 02 01 01	პირველი და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა	10.0
06 02 01 02	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	52.0
06 02 01 03	ბავშვთა კვების პროგრამის დაფინანსება	5.0
06 02 01 04	უდედმამო ბავშვების დახმარების პროგრამა	13.8
06 02 01 05	შშმ 18 წლამდე ბავშვთა დახმარების პროგრამა	45.0
06 02 01 06	შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	53.0
06 02 01 07	მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების დახმარების პროგრამა	4.0
06 02 01 08	რენტეგრირებული ოჯახების ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა	5.0
06 02 01 09	სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის საყოფაცხოვრებო აუცილებელი ტექნიკის შეძენა	10.0
06 02 02	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების დაფინანსება	880.0
06 02 02 01	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	400.0
06 02 02 02	მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა	220.0
06 02 02 03	ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარების პროგრამა	220.0
06 02 02 04	ბიკარბონატიული ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა	40.0
06 02 03	სოციალურად დაუცველი მოსახლეობის დახმარება	345.0
06 02 03 01	ელექტროენერჯის და გაზის გადასახადის დაფინანსების პროგრამა	40.0
06 02 03 02	მოწყვლადი ჯგუფების გათბობის ხარჯით დახმარების პროგრამა	70.0
06 02 03 03	სოციალურად მოწყვლადი ჯგუფებისათვის საკვების გაცემა დღესასწაულებზე	180.0
06 02 03 04	მოსახლეობის ტრანსპორტირების პროგრამა	25.0
06 02 03 05	ხანდაზმულ (95 და მეტი წლის) პირთა დახმარების პროგრამა	4.0
06 02 03 06	უპატრონო და სოციალურად დაუცველი მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა	16.0
06 02 03 07	სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისათვის დროებით სარგებლობაში გადაცემულ ფართებში მინიმალური საყოფაცხოვრებო პირობების შექმნა	10.0
06 02 04	მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა	38.0
06 02 05	უმწეოთათვის უფასო სასადილოების დაფინანსება	289.5
06 02 06	ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა	10.0
02 06 07	წითელი ჯვრის დაფინანსების პროგრამა	15.0
02 06 08	სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის დაფინანსება	15.0



02 06 09	მარჩენალდაკარგულ პირთა სოციალური დაცვა	1.8
----------	--	-----

პროგრამის დასახელება	კოდი	ჯანმრთელობის დაცვა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 06		535,6
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და მშენებლობა. 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის შენობის მოწყობა.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01 01		129,6
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	ა(ა) იპ საგარეჯოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი		
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამით გათვალისწინებულია მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება. ქვეპროგრამა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერიდან დელეგირებული „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის როგორცაა: 1. ეპიდზედამხედველობა (მათ შორის ტუბერკულოზის კონტროლის პროგრამა) (მაღარიისა და პარაზიტოლოგიურ დაავადებათა კონტროლი); 2. იმუნოზაცია; 3. ცხვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობა; 4. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარული ნორმების დაცვის ზედამხედველობა; 5. „ახალი კორონავირუსული დაავადების COVID 19-ის მართვა“, სახელმწიფო პროგრამის „ახალი კორონავირუსით (SARS-CoV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID 19) დიაგნოსტიკის უზრუნველყოფის“ კომპონენტით გასაწევი მომსახურების ვალდებულება. ადგილობრივი ბიუჯეტით დაფინანსდება ცეკვატიის, შიდსის და ტუბერკულოზის მუნიციპალური ინტეგრირებული სკრინინგის პროგრამა;		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	სოფლის ამბულატორიების ხელშეწყობა და ჯანდაცვის ობიექტების მშენებლობა, რეაბილიტაცია	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 01 02		406,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური, საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის და არქიტექტურის სამსახური		
	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია ყოველთვე უხდის ხელფასს ექიმს „რათა მან გაუწიოს ადგილზე“		



ქვეპროგრამის აღწერა და მიზანი	სამედიცინო მომსახურება სოფელ უდაბნოს მოქალაქეებს , პროგრამის მიზანია სოფელ უდაბნოს მოქალაქეებმა ადგილზე ისარგებლონ სამედიცინო მომსახურებით. რეაბილიტაციის ქვეპროგრამა ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი კაპიტალური ტრანსფერიდან, 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის შენობის მოწყობა.		
მოსალოდნელი შედეგი	მოსახლეობა კმაყოფილია ექიმის ადგილზე მომსახურებით თანამედროვე სტანდარტებით აშენებულ სოფლის ამბულატორიებში		

პროგრამის დასახელება	კოდი	სოციალური დაცვა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02		1792,1
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
პროგრამის აღწერა და მიზანი	პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებების უზრუნველყოფას. უზრუნველყოფა მოკლებულთათვის უფასო კვებითა და ფართით უზრუნველყოფას, დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების დახმარებას, სხვა სოციალური პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახების ხელშეწყობა და სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	პირველ და მეორე ახალდაბადებული ბავშვიანი სოციალურად დაუცველი ოჯახების დახმარების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 01		10,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	მაღალმთიან რეგიონში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის ახალდაბადებული ბავშვიანი ოჯახის ერთჯერადი 350 ლარიანი დახმარება, ხოლო სხვა დასახლებაში ფაქტობრივად მცხოვრებთათვის 300 ლარიანი დახმარება. (დახმარების მიმღებია პირველი და მეორე შვილი, ტყუპების შემთხვევაში დახმარებით ისარგებლებს ორივე ტყუპისცალი.) დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 001-მდე.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დემოგრაფიული მდგომარეობა-შობადობა გაუმჯობესებულია მატერიალური წახალისების გზით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 02		52,0
პროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ და ფაქტობრივად მცხოვრებ		



ქვეპროგრამის აღწერა	სოციალურად დაუცველ (სარეიტინგო ქულა 1500000-მდე) მრავალშვილიან ოჯახებს, რომელთაც ჰყავთ 4 და მეტი შვილი და ორი მაინც არის 18 წლამდე ასაკის, მიეცემათ ერთჯერადი 400 ლარიანი დახმარება, ხოლო ყოველ მომდევნო შვილზე დახმარება განისაზღვრება დამატებით 100 ლარით.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მრავალშვილიანი ოჯახების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება. საქართველოში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესება, შობადობის მატერიალური წახალისების გზით.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბავშვთა კვების პროგრამის დაფინანსება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 03		5,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	სიღარიბის ზღვარს მიღმა კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი და სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში რეგისტრირებული 70 001-ზე ნაკლები სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახის ერთ წლამდე ასაკის ბავშვებს, რომელთა სიცოცხლეს და ნორმალურ ზრდა განვითარებას მიძიმე ეკონომიური მდგომარეობის გამო ემუქრება საფრთხე ყოველთვიურად კვების პროგრამა დაუფინანსდებათ 150 ლარამდე თანხით. ფენილკეტონური ან სხვა იშვიათი დაავადების მქონე პირთა და შშმ პირთა სპეციალიზირებული საკვები დანამატებით დახმარებისთვის ლიმიტის ამოწურვამდე გაიცემა 500 ლარამდე თანხა.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ბავშვთა სოციალური დაცვა და აუცილებელი საკვები დანამატებით უზრუნველყოფა		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	უდედმამო ბავშვების დახმარების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 04		13,8
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ა) უდედმამო 18 წლამდე ბავშვებზე დახმარების გაცემა 100 ლარის ოდენობით ყოველთვიურად მთელი წლის განმავლობაში. ბ) დედით ან მამით ობოლ 18 წლამდე ბავშვებზე დახმარების გაცემა ერთჯერადად 200 ლარის ოდენობით, დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 001-მდე.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დედამით ობოლ ბავშვთა საჭიროებების გათვლისწინება და მათი ფინანსური თანადგომა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შშმ 18 წლამდე ბავშვთა დახმარების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 05		45,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 18 წლამდე ბავშვთა დახმარება, დახმარების გაცემა მოხდება 50 ლარის ოდენობით ყოველთვიურად.		



ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ოჯახების ფინანსური შესაძლებლობების გაზრდა და სოციალური დაცვა.
---	---

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 06		53,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ა) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და 18 წლამდე ბავშვთა, აუტისტური სპექტრის აშლილობის მქონე 18 წლამდე ასაკის ბავშვთა რეაბილიტაციის თანხის დაფინანსება 500-დან -1000 ლარამდე.</p> <p>ბ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების და 18 წლამდე მოზარდების სანატორიულ-კურორტული და ბალნეოლოგიური მომსახურების დაფინანსება 500 ლარამდე თანხით. დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 100 001-მდე. პროგრამის მოსარგებლებზე ერთი კალენდარული წლის განმავლობაში გაიცემა ერთი დახმარება. სერვისის მიწოდებისთვის ასანაზღაურებელი თანხა, არ უნდა აღემატებოდეს საკურორტო მომსახურების ღირებულებას.</p> <p>გ) სოციალურად დაუცველი ოჯახის ბავშვთა სამკურნალო რეაბილიტაცია - დაფინანსება 200 ლარით. დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 001-მდე.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობის მკურნალობის ხელშეწყობა. ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის სტაბილიზაცია.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების დახმარების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 07		4,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე პირების ერთჯერადი 200 ლარიანი დახმარება, დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 150 001-მდე.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მარტოხელა სტატუსის მქონე მშობლების მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესება.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	რეინტეგრირებული ოჯახების ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 01 08		5,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		



ქვეპროგრამის აღწერა	<p>ა) საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებზე, რომლებზეც განხორციელდება რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება, მათ ოჯახებს გაეწევა ფულადი დახმარება მათი საჭიროებების გათვალისწინებით,</p> <p>ბ) სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული ახალგაზრდების ფინანსური დახმარება, შესაბამისი ორგანოდან მოთხოვნილი ინფორმაციის საფუძველზე, ახალგაზრდების საჭიროებების გათვალისწინებით.</p> <p>გ) ქალათა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა ფინანსური დახმარება.</p> <p>დ) ოჯახების დახმარება, რომელთაც ჰყავთ განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირი ან პირები და შეუწყდათ საარსებო შემწობა განმეორებით გადამოწმების შედეგად.</p> <p>ე) თვითმართვლობის სოციალური მუშაკის მიერ შესწავლილი ოჯახების გამდიდრება, ბავშვის საჭიროებიდან გამომდინარე და ფულადი დახმარების გაცემა სოციალური მუშაკის დასკვნის საფუძველზე.</p>
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	<p>მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება, სახელმწიფო ზრუნვის პროგრამიდან გასული ახალგაზრდების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება და ქალთა მიმართ ძალადობის მსხვერპლთა და მარტოხელა შეწირვებულთა ოჯახების თანადგომა.</p>

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 06 02 01 09	სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის საყოფაცხოვრებო აუცილებელი ტექნიკის შეძენა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში 10,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი, სიღარიბის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახებისთვის საყოფაცხოვრებო ტექნიკის შეძენა ერთ ოჯახზე არაუმეტეს 700 ლარისა. დახმარების გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი კომისია, რაც დამოკიდებულია ბენეფიციარის სოციალურ-ეკონომიკურ და ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. დახმარების მიმღები ოჯახი რეგისტრირებული და ფაქტობრივად მცხოვრები უნდა იყოს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე და გააჩნდეს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ მინიჭებული სარეიტინგო ქულა 70 000-მდე.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სოციალურად დაუცველი ოჯახების ფინანსური ხელშეწყობა.		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 06 02 02 01	სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში 400,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ა) სოციალურად დაუცველი 200 000 სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარების, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისა და საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ვეტერანების, 9 აპრილს დაზარალებული და დევნილი პირების სტაციონარული, ამბულატორიული მკურნალობის და ოპერაციების დაფინანსება ან/და თანადაფინანსება განისაზღვრება მოთხოვნილი თანხის 70 %-ით არაუმეტეს 1000 ლარისა. აღნიშნული სამიზნე ჯგუფებისთვის 300 ლარამდე მოთხოვნილი თანხა დაფინანსდება სრულად, ხოლო 18 წლამდე ბავშვთა სამიზნე ჯგუფებისთვის 500 ლარამდე მოთხოვნილი თანხა დაფინანსდება სრულად.</p> <p>ბ) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარის სტაციონარული, ამბულატორიული მკურნალობის და ოპერაციების დაფინანსება ან/და თანადაფინანსება განისაზღვრება მოთხოვნილი თანხის 50 %-ით არაუმეტეს 1000 ლარისა. სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული ან სხვა გამოკვლევების დაფინანსება მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის დაფინანსდება მოთხოვნილი თანხის 50 %-ით არაუმეტეს 500 ლარისა.</p> <p>გ) ასაკით პენსიონერი პირის სამედიცინო სტაციონარული, ამბულატორიული მკურნალობის და</p>		



ქვეპროგრამის აღწერა	<p>ოპერაციების დაფინანსება ან/და თანადაფინანსება განისაზღვრება მოთხოვნილი თანხის 60%-ით არაუმეტეს 1000 ლარისა, სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული ან სხვა გამოკვლევები მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის დაფინანსდება წარმოდგენილი თანხის 50%-ით არაუმეტეს 500 ლარისა.</p> <p>დ) სოციალურად დაუცველ მოქალაქეთა, რომელთა სარეიტინგო ქულა 200 000-მდეა, შშმ პირთა, ვეტერანთა, 9 აპრილის დაზარალებულთა, დევნილ პირთა სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული ან სხვა გამოკვლევების დაფინანსება მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის დაფინანსდება წარმოდგენილი თანხის 50 %-ით არაუმეტეს 500 ლარისა.</p> <p>ე) სოციალურად დაუცველ 100 000 სარეიტინგო ქულის მქონე ბენეფიციარების სტაციონარული, ამბულატორიული მკურნალობის და ოპერაციების დაფინანსება ან/და თანადაფინანსება განისაზღვრება მოთხოვნილი თანხის 90%-ით არაუმეტეს 1000 ლარისა, ხოლო 100000 სარეიტინგო ქულის მქონე პირები რომლებიც ამავდროულად არიან ასაკით პენსიონერი, შშმ პირის სტატუსის მქონე ან 16 წლამდე ბავშვი სამკურნალო საოპერაციო 1000 ლარამდე მოთხოვნილი თანხა დაუფინანსდება 100% ით. სადიაგნოსტიკო კვლევების თანხა 700 ლარამდე დაუფინანსდება ასევე 100 %-ით.</p> <p>ვ) მე-10 პუნქტით გათვალისწინებული ყველა სამიზნე ჯგუფისთვის, გარდა „ზ“ ქვეპუნქტისა, თუ თანაგადახდის მოცულობა ბენეფიციარის მხრიდან 3000 ლარს აჭარბებს, დახმარება გაეწევა ერთჯერადად 1500 ლარის ოდენობით, ხოლო თუ თანაგადახდის მოცულობა ბენეფიციარის მხრიდან 4000 ლარს აჭარბებს დახმარება გაეწევა ერთჯერადად 2000 ლარის ოდენობით. თუ თანაგადახდის მოცულობა ბენეფიციარის მხრიდან 5000 ლარს აჭარბებს დახმარება გაეწევა ერთჯერადად 3000 ლარის ოდენობით.</p> <p>ზ) სამედიცინო დამხმარე საშუალებების თანადაფინანსება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. პროგრამის ფარგლებში ასევე დაფინანსდება უსინათლოთა ხელჯოხები, ხმოვანი წნევის აპარატები, სოციალურად დაუცველი (100 001 მდე სარეიტინგო ქულა) და ონკოლოგიური პაციენტების პროთეზის, ან სხვა დამხმარე სამედიცინო საშუალებების თანხები. ზემოთჩამოთვლილი სამიზნე ჯგუფებისთვის 300 ლარამდე მოთხოვნილი თანხა დაფინანსდება სრულად, სამას ლარზე მეტი თანხის შემთხვევაში, ბენეფიციარი ერთჯერადად დაფინანსდება 500 ლარით. 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულ პირთა შაქრის საზომი აპარატის ჩხირების ყოველთვიური დაფინანსება. არაუმეტეს 120 ლარისა. (საჭიროების მიხედვით).</p>
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი 06 02 02 02	მედიკამენტების შექმნაზე დახმარების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში 220,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ა) ონკოლოგიური დაავადების მქონე ბენეფიციარებს მედიკამენტებით დახმარება გაეწევათ ლიმიტის ამოწურვამდე 700 ლარამდე თანხით.</p> <p>ბ) სოციალურად დაუცველ 200 001 ათასი ქულის მქონე ბენეფიციართა მედიკამენტებით დახმარება, შშმ. პირთა მედიკამენტებით დახმარება, დევნილ პირთა მედიკამენტებით დახმარება, ვეტერანთა მედიკამენტებით დახმარება; ეპილეფსიით დაავადებულ პირთა მედიკამენტებით დახმარება, ფენილკეტონურიით, ან სხვა იშვიათი დაავადების მქონე პირთა მედიკამენტებით დახმარება, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარი დაფინანსდება 300-500 ლარამდე თანხით. სიცოცხლისათვის საშიში დაავადებების მქონე ბენეფიციარი ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით დაფინანსდება 500 ლარამდე თანხით.</p> <p>გ) მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე ისარგებლებს მედიკამენტებით დახმარების პროგრამით და დაფინანსება გაეწევა 300-500 ლარამდე თანხით. სიცოცხლისათვის საშიში დაავადებების მქონე ბენეფიციარი ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით დაფინანსდება 500 ლარამდე თანხით.</p> <p>დ) ასაკით პენსიონერი პირი ისარგებლებს მედიკამენტებით დახმარების პროგრამით და დაფინანსება გაეწევა 300-500 ლარამდე თანხით. სიცოცხლისათვის საშიში დაავადებების მქონე ბენეფიციარი ეკონომიური მდგომარეობის გათვალისწინებით დაფინანსდება 500 ლარამდე თანხით.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის გაუმჯობესების ხელშეწყობა მედიკამენტების შექმნაზე ფინანსური დახმარების გზით.		



ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ონკოლოგიურ პაციენტთა დახმარების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02 03		220,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ა) ონკოლოგიური ავადმყოფების სტაციონარული, ამბულატორიული მკურნალობის და ოპერაციების დაფინანსება. ასევე, ამ მკურნალობის შედეგად განვითარებული დაავადებების მკურნალობის დაფინანსება განისაზღვრება მოთხოვნილი თანხის 70%-ით, არაუმეტეს 1000 ლარისა (1500 ლარიანი ლიმიტის ამოწურვამდე). ონკოლოგიური პაციენტი რომელიც არის ასაკით პენსიონერი, შშმ პირი ან სოციალურად დაუცველი სამედიცინო მომსახურება დაუფინანსდება მოთხოვნილი თანხის 80 % -ით არაუმეტეს 1000 ლარისა. ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტების ქიმიოთერაპიის 500 ლარამდე მოთხოვნილი თანხის დაფინანსდება განისაზღვრება სრულად ან და ლიმიტის ამოწურვამდე. თუ ონკოლოგიური ბენეფიციარის მხრიდან თანაგადახდის მოცულობა 3000 ლარს აჭარბებს დახმარება გაეწევა ერთჯერადად 1500 ლარის ოდენობით.</p> <p>ბ) სხვა სიმსივნული დაავადების მქონე პირებს სამედიცინო დახმარების გაწევა განისაზღვრება დაუფინანსებელი თანხის 50 % ით. არაუმეტეს 700 ლარისა; სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული ან სხვა გამოკვლევები მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის დაფინანსდება თანხის 50% არაუმეტეს 300 ლარისა.</p> <p>გ) ონკოლოგიური ავადმყოფების სამედიცინო დიაგნოსტიკური, ლაბორატორიული ან სხვა გამოკვლევები მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის დაფინანსდება 800 ლარამდე თანხით ლიმიტის ამოწურვამდე.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუმჯობესება		

ქვეპროგრამის დასახელება	კოდი	ბიკარბონატული ჰემოდიალიზი-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
	06 02 02 04		40,0
ქვეპროგრამის განმახორციელებელი სამსახური	საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური		
ქვეპროგრამის აღწერა	ჰემოდიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების ტრანსპორტის ხარჯის თანადაფინანსების ოდენობა განისაზღვრება 130 ლარით, თანხის ჩარიცხვა ხდება ყოველთვიურად მთელი წლის განმავლობაში.		
